**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2020 წლის 12 ოქტომბერი**

**დისციპლინური საქმე №307/18**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- 2018 წლის 18 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 მარტის №307/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მას საპაექრო სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა, იმ მოტივით, რომ შემდეგი სხდომა იწყებოდა და ამის დრო არ იყო, რითიც დაარღვია თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი.

ამასთან, საპაექრო ეტაპის ამსახველი სხდომის ოქმი არ არსებობს, რადგან სხდომის ელექტრონული სახით ჩაწერა არ განხორციელებულა. როდესაც სასამართლოს მიმართა სხდომის ოქმის მოთხოვნით, სხდომის ოქმის ელექტრონული ვერსიის ნაცვლად გადაეცათ სხდომის მდივნის 2018 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული აქტი და სასამართლო სხდომი ოქმი. საჩივრის ავტორი პრეტენზიას გამოთქვავს, თუ რატომ არ ეცნობათ სასამართლო სხდომაზე ან სხდომის დასრულებისას, რომ სხდომის ოქმის დისკი დაზიანებული იყო. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2018 წლის 28 სექტემბერს 15:00 საათზე, სხდომაზე დასასწრებად გამოცხადდა ნახევარი საათით ადრე. სასამართლო სხდომის დაწყების გაჭიანურების გამო, ადვოკატმა -- -- მანდატურს ჰკითხა ხომ არ იყო მოსული მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი -- --, რაზეც მანდატურმა უპასუხა, რომ მათ მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე მოვიდა რადგან დაბარებული იყო, თუმცა ვის მიერ არ უთქვამს. საჩივრის ავტორი ეჭვს გამოთქვამს ასევე იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლისას ადვოკატი -- -- და სხდომის მდივანი -- -- უკვე დარბაზში იყვნენ, რაც შეიძლება კავშირში იყოს იმავე დღეს ჩატარებული სხდომის ოქმის დისკის დაზიანებასთან.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2016 წლის 20 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანის, ხელშეკრულებათა ნაწილობრივ ბათილად ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების თხოვნით.

2017 წლის 30 იანვარს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 26 მარტს. სასამართლო სხდომები გაიმართა 26.03.2018; 06.06.2018; 10.09.2018; 28.09.2018; 24.10.2018 წწ პერიოდებში.

2018 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.2. 2018 წლის 29 ნოემბერს მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 14 თებერვალს.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 მარტის დასკვნა:**

3.1. -- -- 2018 წლის 18 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

3.2. -- -- 2018 წლის 18 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

**4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების მეორე მუხლის მიხედვით მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი

შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2018 წლის 28 სექტემბერს სხდომის მდივნის მიერ შედგა აქტი, რომლის მიხედვითაც სხდომის ელექტრონული ჩაწერისას დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და წაიშალა აუდიო ჩანაწერი სასამართლო სხდომის გახსნიდან, სასამართლო სხდომის დახურვამდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოთხოვილი სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერის მოწოდება შეუძლებელი იყო (№64-ი წერილი) მისი შენახვის ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და შეაფასოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები 2018 წლის 28 სექტემბერს ჩატარებული სხდომის ნაწილში.

ამასთან, ბუნებრივია, საჩივრის ავტორს დისკის დაზიანების თაობაზე ეცნობა სხდომის ოქმის მოთხოვნის შემდეგ, რადგან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მხარეების ინფორმირებას სხდომის ოქმის დისკის დაზიანების შემთხვევაში. ამდენად, მოსამართლის მიერ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არ იკვეთება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №307/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**